პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 293 (9453) | შაბათი, 13 დეკემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი — «პრავდის» 12/XII მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

ქვანახშირს წყალის საშუალებით იღებენ (1-ლი გვერდი).

შ. ჭანუყვაძე — გავაუმჯობესოთ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მუშაობა (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-2 გვერდი).

მშობლიურ მეტალურგიას მივცეთ ადგილი ბოლშევიკური ხარისხოვანი მარგანეცი (მე-2 გვერდი).

ორგანიზებულად ჩავატაროთ პირუტყვის ფასიანი აღწერა (მე-3 გვერდი).

შ. რევიშვილი — ჰაინრიხ ჰაინე (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი

პროგრესული და მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა დიდი სიმპათიითა და იმედით აყურობს ბოლო ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესს, რომელიც ვენაში იხსნება.

კონგრესზე იკრიბებიან ყველა ქვეყნისა და ხალხის, ყველა რასისა და ეროვნების, ყველა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულების, სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის წარმომადგენლები, რომლებიც გაერთიანებული არიან ერთიანი მისწრაფებით — შეინარჩუნონ მშვიდობა და განამტკიცონ მშვიდობის საქმე. წინასწარი ცნობებით, კონგრესზე მოელიან მსოფლიოს ასი ქვეყნიდან 2.500-ზე მეტი დელეგატისა და მეთვალყურის ჩასვლას. ცნობილ მეცნიერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ერთად კონგრესის მუშაობაში მონაწილეობენ მუშები, გლეხები და დიასახლისები, მრეწველები და ვაჭრები, ეკლესიის მსახურნი, რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამრიგად, კონგრესის მონაწილეთა უკვე თვით შემადგენლობა მთლიანად აბათილებს მშვიდობის მტრების ცდებს—ხალხთა მშვიდობის დაცვის უპარტიო, მასობრივი, დემოკრატიული მოძრაობა დასახონ პარტიულ, თითქოს კომუნისტურ მოძრაობად.

ათასობით და ათასობით კილომეტრი გადალახეს კონგრესის მონაწილეებმა. ბევრი მათგანი, ვენაში რომ მიდიოდა, საფრთხეში აგდებდა თავის მდგომარეობას, სამუშაოს, ხოლო ზოგჯერ თვით სიცოცხლესაც. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მთელი რიგი ბურუჟაზიული ქვეყნების მთავრობებმა თავიანთი ხალხების რჩეულთა აუკრძალეს კონგრესზე გამგზავრება. ამ ქვეყნებში აღმოჩნდნენ პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირების ისეთი ლიდერები, რომლებმაც თავიანთი ორგანიზაციების წევრებს „აუკრძალეს“ მონაწილეობის მიღება ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესში.

მაგრამ ვერც მუქარამ, ვერც დაშინებამ ვერ შეაჩერა მშვიდობისათვის მებრძოლნი. მიზწრაფება — დაიცვან მშვიდობა, გაფანტონ ომის შავი ღრუბლები, კაცობრიობას რომ თავს დახურიალებს, პოლიციის მიერ შექმნილ დაბრკოლებებზე ძლიერი აღმოჩნდა. მშვიდობის მტრების წინააღმდეგობის მიუხედავად, ხალხთა საუკეთესო შვილები, რომლებიც ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის წმიდა საქმეს ემსახურებიან, მიეშურებიან ვენაში, რათა ხალხთა დიდი ასამბლეის ტრიბუნიდან განაცხადონ, რომ მშვიდობისმოყვარე კაცობრიობას მტკიცედ აქვს გადწყვეტილი ჩაშალოს ომის გამჩაღებელთა გეგმები.

კონგრესისათვის მზადების მსვლელობაში კიდევ უფრო მკვეთრად გამოირკვა ორი ბანაკი: მშვიდობის მეგობართა, დამცველთა ბანაკი და მშვიდობის მტერთა, ახალი ომის წამომწყებთა ბანაკი. ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესისადმი თვით დამოკიდებულებამ შესაძლებლობა მოგვცა ერთხელ კიდევ გამოგვერკვია პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების, პარტიების, ორგანიზაციების ნამდვილი პოზიცია მშვიდობის საკითხში, თანამედროვეობის ამ მწვავე საკითხში. მართლაც, ვინ დაიჯერებს დასავლეთის იმ პოლიტიკურ მოღვაწეთა გულწრფელობას, რომლებიც გაკიკვიან, „მშვიდობისმოყვარენი ვართო“, საქმით კი ხელს უშლიან კეთილი ნების ადამიანებს, ცდილობენ ხელი შეუშალონ მათ შეხვედნენ ერთმანეთს, რათა ერთობლივად დასახონ მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის გზები და საშუალებანი? განა სავსებით არ იაშკარავებს თავს ის, ვინც სიტყვით ფარისევლურად გაიძახის „მშვიდობას ვესწრაფვიო“, ხოლო ამ დროს პოლიციურ რეპრესიებს აწყობს მშვიდობისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ?

ასობით მილიონი ადამიანი დედამიწის ყოველ კუთხეში ფიქრობს საყოველთაო მშვიდობის ბედზე. ვინც კი ნამდვილად ესწრაფვის მშვიდობას, ის გულგრილად ვერ დაუწყებს ცქერას იმას, რომ იმპერიალისტურ აგრესიულ სახელმწიფოთა მმართველი წრეები თავიანთი საზღვრებიდან ათასობით კილომეტრზე აშენებენ სამხედრო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზებს და ემზადებიან ამ ბაზებიდან დაიწყონ თავდასხმა მშვიდობისმოყვარე დემოკრატიულ ქვეყნებზე. იმ ქვეყნების ხალხებს, რომლებიც მათი ნების წინააღმდეგ ჩათრეული არიან აგლანტიკის კავშირში, ალარ სურთ ზიდონ გამალებული შეიარაღების მძიმე ტვირთი, კაცობრიობის სინდისი ვერ ურიგდება იმას, რომ აგრესიული იმპერიალისტური ბლოკის ქვეყნებში დღედაღამ წარმოება ომის, ძარცვისა და ძალადობის თავაშვებული პროპაგანდა, რომელიც დედამიწის ყველა პატიოსან ადამიანს, სრულიად სამართლიანად, მიაჩნია უმძიმეს დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ. აზიის, ევროპის, ამერიკის, დედამიწის ყველა ქვეყნის ხალხთა სახიცოცხლო ინტერესები მტკიცედ მოითხოვს, რომ ჩაქრობილ იქნას კორეაში ომის ხანძარი, რომელიც სხვა ქვეყნებზე გავრცელების საფრთხეს ქმნის.

ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში არ შეიძლება გულგრილი იყო, რადგან ომი თანაბრად ემუქრება ევროპისა და აფრიკის, აზიის, ამერიკისა და ავსტრალიის მცხოვრებლებს, მამაკაცებსა და ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს. ამ საფრთხის თავიდან აცილება შეუძლია მხოლოდ კეთილი ნების ყველა ადამიანის ერთიან, შეთანხმებულ მოქმედებას.

აი ამიტომ მშვიდობისათვის ბრძოლა მთელი მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის საკუთარი, სასიცოცხლო საქმე გახდა. აი ამიტომ ყველა ქვეყანაში და ყველა კონტინენტზე სულ უფრო ხმამაღლა და მტკიცედ გაისმის ხალხთა ერთსულოვანი მოთხოვნა — დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი კორეაში, მშვიდობიანად გადაიჭრას გერმანიისა და იაპონიის საკითხები, ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას, აიკრძალოს ატომური, ბაქტერიოლოგიური იარაღი და მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებანი. იმისადმი მიზწრაფებამ, რომ გადაჭრან მთელი კაცობრიობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეს საკითხები, ყველა ხალხისათვის უზრუნველყონ ხანგრძლივი მშვიდობა, ახალი ომის საფრთხისაგან დაიცვან მსოფლიო ცივილიზაცია, — აი რამ ჩაიყვანა ვენას სულ სხვადასხვა პოლიტიკური რწმენისა და პროფესიის, სარწმუნოებისა და ეროვნების ადამიანები.

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მოწვევის ფაქტი და მის მონაწილეთა ფართო, ყოვლისმომცველი შემადგენლობა ცხადად მოწმობს, რომ მშვიდობისათვის აქტიური ბრძოლის იდეა მკვიდრდება ყველა ქვეყნის მოსახლეობის სულ უფრო ფართო და სხვადასხვა ფენების შეგნებაში. ახლანდელი კონგრესის თავისებურება ის გარემოებაა, რომ მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს ასობით მეთვალყურე, რომლებიც დაკავშირებული არ არიან მშვიდობის მომხრეთა მოძრაობასთან. ეს ადამიანები არ იზიარებენ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის პლატფორმას, მაგრამ მშვიდობა ურჩევნიათ ომს, ისინი ემხრობიან იმას, რომ საერთაშორისო უთანხმოებანი გადაიჭრას მოლაპარაკების საშუალებით და არა ძალის გამოყენების გზით.

კეთილშობილურ ამოცანას ისახავს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი: იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც ერთობლივად იქნება განსაზღვრული, გაერთიანოს ყველა მიმართულების ადამიანები, რომლებსაც სურთ უზრუნველყონ განიარაღება, უშიშროება და ეროვნული დამოუკიდებლობა, თავისი ცხოვრების წესის თავისუფლად არჩევა და საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელება. ამ ამოცანის გადაჭრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენება მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების საქმისათვის.

კეთილი ნების ასეულ მილიონობით ადამიანი სულით და გულით უსურვებს კონგრესს წარმატებით იმუშაოს ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის. ათენის გარეუბან ხაიდარის მცხოვრებთა ჯგუფი კონგრესისადმი წერილში წერს: „ჩვენ, ხაიდარის - უბრალო ადამიანები, მხურვალე სალამს ვუძღვნით კონგრესს. ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ ომის დანაშაულობანი, ჩვენ ვნახეთ, როგორ იღვრებოდა ჩვენი ძმების — ეროვნული წინააღმდეგობის მებრძოლების სისხლი. მოგმართავთ თქვენ, ჩვენს მეგობრებს, თხოვნით — გზა გადაუღობოთ მშვიდობის მტრებს. იბრძოლეთ კაცობრიობის ბედნიერებისათვის, იბრძოლეთ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის“.

ავსტრიის 547 საწარმოს მუშათა ლინცში (ავსტრია) გამართული კონფერენციის ათასზე მეტი დელეგატი მხურვალედ მიესალმება რა კონგრესს, წერს: „მთელი მსოფლიოს მშრომელნი უდიდეს იმედს ამყარებენ ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესზე და სურთ, რომ მან შეაჩეროს საერთაშორისო ვითარების დაძაბულობა და გაათავისუფლოს ხალხი შიშისაგან, რასაც იწვევს ახალი ომის მზადება... ბოლო მოვუღოთ ომის პროპაგანდას! ჩვენ მოვითხოვთ ხალხთა შორის მშვიდობას და ურთიერთგაგებას!“.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც მთელ ძალებს ახმარენ მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის საქმეს, მხურვალედ მიესალმებიან ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მოწვევას. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხთა წარმომადგენლების შეხვედრა კონგრესზე ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში. საბჭოთა ხალხის მხურვალე მისწრაფებამ იმისადმი, რომ დაიცვას მშვიდობის საქმე, თავისი გამოხატულება ჰპოვა განაწესით, რომელიც მშვიდობის მომხრეთა მეოთხე საკავშირო კონფერენციამ გადასცა კონგრესზე გასაგზავნად არჩეულ თავის დელეგატებს. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სახელით კონფერენციამ განაცხადა, რომ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის თავიანთ კეთილშობილურ ბრძოლაში ყველა ქვეყნის მშვიდობის მომხრეებს შეუძლიათ მტკიცე იმედი იქონიონ, რომ საბჭოთა ხალხი ყოველი ღონისძიებით დაუჭერს მათ მხარს.

გაერთიანდებიან რა, მშვიდობისმოყვარე ხალხებს შეუძლიათ გადაუღობონ და კიდევაც უნდა გადაუღობონ გზა ახალ ომს. ხალხთა მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესი მოწოდებულია თვალსაჩინო როლი შეასრულოს მთელი პროგრესული და მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის ამ მთავარი ამოცანის გადაჭრაში. მას მხურვალედ თანაუგრძნობს და აქტიურად უჭერს მხარს კეთილი ნების ყველა ადამიანი, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დიადი საქმე.

მშვიდობის ძალები უძლეველია.

გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობას!

ძირს ომის გამჩაღებლები!

„პრავდის“ 12/XII მოწინავე.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები 1953 წლის 22 თებერვალს, კვირას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ზ. ჩხუბიანიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი. 1952 წ. 12 დეკემბერი.

საბჭოთა კავშირში

★

ბეჯონის ქარხანა კუიბიშევის ჰესის მშენებლობაზე

სტავროპოლი (კუიბიშევის ოლქი), 11 დეკემბერი. (საკდესი). კუიბიშევის ჰესის მშენებლობაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ბეტონის პირველი ავტომატიზებული ქარხანა. მისი წარმადობა დღეღამეში უდრის ორი ათას კუბურ მეტრზე მეტ ბეტონს. ქარხნის მართვა მთლიანად ავტომატიზებულია. ბეტონის დამზადების რთულ პროცესს ხელმძღვანელობს სულ ოთხი კაცი. მართვის ცენტრალურ პულტთან ვახტზე პირველი დადგა ვოლგადონელი ოპერატორი გივი სიხარულიძე.

ბეტონის ქარხნის მშენებლობაზე ფართოდ იყენებდნენ მონტაჟის ჩქაროსნულ მეთოდს. ქარხნის მშენებელთა შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგებს მიაღწია ვოლგადონელ ნიკოლოზ ოსიპოვის მემონტაჟეთა კოლექტივმა, რომელმაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა საგეგმო დავალება.

დღეს ბეტონის ახალმა ქარხანამ დაამზადა პირველი რამდენიმე ასეული კუბური მეტრი ბეტონი.



ქ. კალინინის სატრიკოტაჟო ფაბრიკა აღჭურვილია ახალი მოწყობილობით. განამტკიცებს რა საოკტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ წარმატებებს, კოლექტივი იბრძვის წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. **სურათზე:** წინდის საამქროში.

ფოტო ნ. ჩამოვიხა (საკდესის ფოტოქრონიკა).

მოწინავე გამოცდილების ფრიბუნა

ფეიქრები ამცირებენ მანქანების მოცდენას

ლენინგრადი, 11 დეკემბერი. (საკდესი). პეტრე ანისიმოვის სახელობის სართავ-საქსოვი ფაბრიკის საქსოვი წარმოების ოსტატის თანამშემწემ კომუნისტმა ივანე ბელობროვმა წინადადება წამოაყენა დაიწყოს შეჯიბრება მოწყობილობის მოცდენის შემცირებისათვის. ფაბრიკის პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და ადმინისტრაციამ განიხილეს ეს წინადადება და საჭიროდ დაინახეს, რომ იგი გავრცელებულიყო მთელ ფაბრიკაში. ი. ბელობროვის ინიციატივას გამოეხმაურა ფაბრიკის ყველა ოსტატის თანაშემწე.

ამ თაოსნობის შესახებ გაიგეს ლენინგრადის სხვა საწარმოებშიც. დღეს პეტრე ანისიმოვის სახელობის ფაბრიკაში მიეიდნენ ძერჟინსკის სახელობის საქსოვი ფაბრიკის წარმომადგენლები. სტუმრებმა სთხოვეს ნოვატორს გაეზიარებინა მათთვის თავისი მუშაობის გამოცდილება. ამხ. ბელობროვმა უამბო:

— მომსახურებას ვუწევდი რა ორმოცდათოთხმეტ მექანიკურ საქსოვ დაზგას და თვალყურს ვადევნებდი მათ მუშაობას, იმ დასკვნამდე მივედი, რომ რემონტის დროს მოწყობილობის მოცდენის ხანგრძლივობა ბევრად დამოკიდებულია თვით მქსოველებზე. ახლა თვითეული მუშა გულდასმით ადევნებს თვალყურს დაზგების მდგომარეობას, დროზე ახდენს პროფილაქტიკურ დათვალიერებას. ამის მეოხებით შესაძლო გახდა წვრილი დეფექტების დროზე გამორკვევა და მათი ლიკვიდირება. მერემონტეები არ ხარჯავენ დროს გატეხის მიზეზების გამოსარკვევად. ახლა მათ ზუსტად იციან, როდის და რომელი მანქანა უნდა დააყენონ კაპიტალურ რემონტში და წინასწარ ამზადებენ სახელოსნოში საჭირო კვანძებსა და დეტალებს. ამის მეოხებით კაპიტალური რემონტისათვის საჭირო დრო ერთისაადამ შემცირდა. ჩვენში არის აგრეთვე ეგრეთწოდებული არაგეგმითი მოცდენა. მაგალითად, დაზგაზე ქსელის გასაწყობად საჭიროა ორმოცი წუთი, ხოლო იმის გამო, რომ დროზე არ მიქონდათ ქსელი, მანქანები გაცილებით მეტ ხანს ცდებოდა. ახლა ჩვენ წინასწარ ვაცნობებთ დისპეტჩერებს, როდის გათავდება ამა თუ იმ დაზგაზე ქსელი. ამან მნიშვნელოვნად შეამცირა დაზგების გაწყობისათვის საჭირო დრო.

მარგანეცის მაღნის მრეწველობის ნარჩენი ძვირფასი სასუქია

კიევი, 9 დეკემბერი. (საკდესი). უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა განყოფილებამ გამოაქვეყნა ცნობები იმის შესახებ, რომ რუსპუბლიკის საცდელ სადგურებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იყენებენ ახალი სახეობის სასუქს—მარგანეცის მადნის მრეწველობის ნარჩენს.

ნიკოპოლ-მარგანეცის აუზის შახტებსა და გამაუხვებელ ფაბრიკებში ეს ნარჩენი უდიდესი რაოდენობით არის. ნიადაგში შესატანად ამ ნარჩენის მომზადება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. ამის გამო ასეთი სახეობის სასუქი მეტად იაფია.

კიევის ოლქის კიევ-სვიატოშინოს რაიონის, პოლტავის ოლქის გლობინოს რაიონის, ხარკოვის ოლქის კუპიანსკის რაიონის კოლმეურნეობებმა, უკრაინის საქრის მრეწველობის მთავარი სამმართველოს პარაფიევისა და მეკარხლეობის სხვა საბჭოთა მეურნეობებმა მარგანეცის მრეწველობის ნარჩენი სასუქად გამოიყენეს ბევრი სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის 1951-1952 წლებში დაახლოებით 20 ათას ჰექტარ ფართობზე და გადიდებული მოსავალი მოიყვანეს. თვითეულ ჰექტარზე აღებულია 14-34 ცენტნერით მეტი შაქრის ჭარხალი, 2,3-4,7 ცენტნერით მეტი სამემოდგომო პურეული და 40-50 ცენტნერით მეტი კარტოფილი და ბოსტნეული.

ქვანახშირს წყალის საშუალებით იღებენ

კუზბასის მაღაროელები, ახორციელებენ რა პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, აუმჯობესებენ ქვანახშირის საბადოების დამუშავების მეთოდებს, სულ უფრო ფართოდ ნერგავენ სათბობის ამოღების შრომატევადი პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას.

ამ უკანასკნელ ხანს „პროკოპიევსკუგოლის“ ტრესტის „ტირგანსკიე უკლონის“ შახტსა და „ლენინუგოლის“ ტრესტის „პოლისაევსკაია სევერნაიას“ შახტში ათვისებულია ქვანახშირის ამოღების ჰიდრავლიკური წესი. მისი ტექნოლოგია ძირეულად განსხვავდება ჩვეულებრივი მექანიკური ამოღებისაგან. აქ შეიცვალა ფენის ნგრევისა და ამოღებული სათბობის მიწის ზედაპირზე ტრანსპორტირების მთელი პროცესი. გაჩნდა მეშახტეთა ახალი პროფესიები—წყალმფრქვეველი, ნახშირმწოვი მანქანის მემანქანე და სხვ.

წყალის მძლავრი ჭავლი, რომელსაც ჰიდრომონიტორიდან მნგრეველ-წყალმფრქვეველი გზავნის, წუთში ადვილად ჭრის ქვანახშირის ფენას სანგრევში მთელ სიგანეზე და ერთნახევარ—ორ მეტრ სიღრმეზე. შტურვალის ახალი მობრუნება—და წყალის ჭავლი ჭრის ქვანახშირს პირველი ყელის ათი სანტიმეტრით ზემოთ. ქვანახშირის ფენები ზედიზედ ირეცხება სანგრევი ხაზიდან და წყალთან ერთად რეშტაკებით გადის სამსხვრეველა მანქანაზე. აქედან ნახშირმწოვ მანქანას (ასე უწოდებენ მაღაროელები ახალი სახეობის მიწისქვეშა ჰიდრავლიკურ ტრანსპორტს) ქვანახშირის მასა ამოაქვს მიწის ზედაპირზე.

ჰიდრავლიკურმა ამოღებამ ტექნოლოგიურად გააერთიანა ყველა ძირითადი სანგრევი ოპერაცია: ქვანახშირის გაყელვა, მონგრევა, დატვირთვა და გამოზიდვა. ჰიდრომონიტორს (წყალმფრქვევს) დგამენ შტრეკზე და ამიტომ უშუალოდ საწმენდ სანგრევში, სადაც ქვანახშირის ჩარეცხვა მიმდინარეობს, იზოგება მუშახელი, მასალები და სატრანსპორტო საშუალებანი, ამავე დროს მკვეთრად იზრდება შრომის ნაყოფიერება.

პარტიის XIX ყრილობის მუშაობის დროს და ნოემბრისშემდგომ დღეებში ერთი მიწისქვეშა მუშის შრომის ნაყოფიერება წყალის საშუალებით ქვანახშირის ამოღებაზე ხუთჯერ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე აუზის იმ საუკეთესო შახტებში, რომლებსაც ჩვეულებრივი მექანიკური წესით ამუშავებენ.

„ტირგანსკიე უკლონის“ შახტის ჰიდროუბნის ცვლაში შედის სულ ცხრა კაცი: ორი წყვილი წყალმფრქვეველი მუშაობს ასაწმენდ და გვირაბგასაყვან სანგრევებში, ერთი მემანქანე მართავს სამსხვრეველას, მეორე—მიწისმწოვ მანქანას, მესამე ემსახურება მთელ სატუმბავ სადგურს და ორი ზეინკალი-მემონტაჟე მორიგეობს სათბობის ტრანსპორტირების ხაზზე. მინიმუმამდეა დაყვანილი კაპიტალური სამთო გვირაბების გაყვანა, საჭირო აღარ არის ჭაურის ირგვლივი ეზოები და სხვ.

„ტირგანსკიე უკლონში“ ერთ-ერთი პირველი წყალმფრქვეველი გახდა ახათ მუსავეროვი. დიდ სამამულო ომამდე მან დაამთავრა დონბასში საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა, მნგრეველად მუშაობდა „ჩისტიაკოვანტრაციტის“ ტრესტში. ომის შემდეგ მეგობარ-თანაპოლკელებთან ერთად მუსავეროვი ჩამოვიდა კუზბასში. სამთო ოსტატ ს. ბურსკისა და ჰიდროამოღების ტექნოლოგიის ერთ-ერთი ავტორის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ს. მუჩნიკის დახმარებით მუსავეროვი კარგად დაეუფლა ახალ პროფესიას.

ქვანახშირის ამოღების ახალი წესის დროს გზადაგზა წყდება პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში დასახული მეორე ამოცანაც—ქვანახშირის გაუხვების ზრდა. წყალის საშუალებით ამოღებული ქვანახშირი მიწის ზედაპირზე ტრანსპორტირების დროს გადის სველი გაუხვების სტადიას. მიწის ზედაპირზე მილსადენებით იგი უშუალოდ გადადის გამაუხვებელ აპარატურაში. მაგალითად, „პოლისაევსკაია-სევერნაია“ შახტში დადგმულია კუზნეცკის ქვანახშირის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში კონსტრუირებული ცენტრიფუგა. იგი ერთსა და იმავე დროს წყალს აშორებს ქვანახშირს, შლამს და წმენდს წყალს. წყალმოცილებული და გამშრალი ქვანახშირი იტვირთება რკინიგზის ვაგონებში. ამასთან ერთ გამაუხვებელ ფაბრიკას შეუძლია მოემსახუროს რამდენიმე შახტს.

ჰიდროამოღების ციკლის მთელ მანძილზე მეშახტის ხელი არ ეხება ქვანახშირს, ყველაფერს მანქანები აკეთებენ.

ნ. სემიჩევი

საკდესის კორესპონდენტი.

კემეროვო, 11 დეკემბერი.

ბელგიელი ფეხბურთელები ინგლისელ ფეხბურთელებს ეთამაშებიან

ბრიუსელი, 11 დეკემბერი. (საკდესი). ბელგიელ ფეხბურთელთა ნაკრებმა ბრიუსელში ინგლისელ ფეხბურთელთა ნაკრებთან ერთად ჩაატარა ფეხბურთის ოფიციალური მატჩი. ბელგიელ ფეხბურთელთა ნაკრებმა 4:2 (2:1) ანგარიშით მოიგო.

ინდოეთი ეუბნებოდა ინგლისს

ბომბეი, 11 დეკემბერი. (საკდესი). ინდოეთის ეროვნული კონგრესის ბომბეის ოლქის ბიურომ ინგლისს ინდოეთის ეროვნული ბანდერა ინდოეთის ეროვნული ფერებით, ინდოეთის ეროვნული ბეჭდის ფოტოსურათ, ინდოეთის ეროვნული ჰიმნის ტექსტი, ინდოეთის ეროვნული ფულის ნიმუშები, ინდოეთის ეროვნული ბანკის ბეჭდები, ინდოეთის ეროვნული ბანკის ბეჭდებიანი ბანკნოტების ნიმუშ

გავაუმჯობესოთ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მუშაობა

შ. ჭანუყვაძე,
საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობა უდიდესი ისტორიული მოვლენაა პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ყრილობამ შეაჯამა პარტიის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგები და განსაზღვრა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები.

ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომლებსაც საფუძვლად დაედო ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომები „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, საბჭოთა ადამიანებს აღაფრთოვანებენ მეხუთე სტალინური ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოცემულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის პროგრამა. იგი ითვალისწინებს მრეწველობის ზრდას დაახლოებით 70 პროცენტით, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ მნიშვნელოვან ამაღლებას.

ლენინ—სტალინის პარტიის XIX ყრილობამ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის დიადი ამოცანები დაგვისახა. ამ ამოცანების განხორციელება წინგადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომს განვითარებაში, ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში.

თავის გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ „სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნები შეიძლებოდა დაახლოებით შემდეგნაირად ჩამოგვეყალიბებინა: მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის პაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით“.

ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამ ისტორიული ამოცანის გადაჭრა მოითხოვს სოციალისტური სოფლის მეურნეობის, ისე როგორც ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარებას, მის მძლავრ აღმავლობას.

სოფლის მეურნეობის დარგში მთავარ ამოცანად კვლავ რჩება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ზრდა, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის შემდგომი გადიდება და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ამაღლება, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდება სოფლის მეურნეობაში მოწინავე ტექნიკისა და აგროკულტურის დანერგვის საფუძველზე, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაობის გაუმჯობესების გზით.

სოფლის მეურნეობის დარგში დასახული მთავარი ამოცანების წარმატებით გადაჭრა მოითხოვს სოფლის პარტიული ორგანიზაციების მთელი მუშაობის ახალ, მაღალ საფეხურზე აყვანას, მათი ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებას.

პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებები პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს ღრმად სწვდებოდნენ კოლმეურნეობის ეკონომიკას, მთელ მის ცხოვრებას, იცნობდნენ მის პერსპექტივებს, დაუღალავად იბრძოდნენ კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-მეურნეობრივი განმტკიცებისათვის.

როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელობამ უხეში შეცდომები დაუშვა საკოლმეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში, რითაც სერიოზული ზიანი მიაყენა კოლმეურნეობებს. ძველი ხელმძღვანელობა იჩენდა პირველადი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების როლის შეუფასებლობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის აპრილისა და მაისის პლენუმებმა პარტიის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის, დიდი სტალინის მითითებათა საფუძველზე სათანადო ღონისძიებანი დასახეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში შეცდომებისა და პოლიტიკური ჩავარდნის, უდარდელობისა და პარადული განწყობილების აღმოსაფხვრელად, პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ამ ღონისძიებათა საფუძველზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ასამაღლებლად სერიოზული მუშაობა განახორციელეს ქუთაისის ოლქის პარტიულმა ორგანიზაციებმა. ისინი ბოლომდე და გადაჭრით ასწორებენ თავიანთი მუშაობის ნაკლოვანებებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელების შედეგად ოლქის კოლმეურნეობებს დაუბრუნდათ 3.484 ჰექტარი დატაცებული მიწა, 3.452 ცენტნერი მარცვლეული, 611 ცენტნერი მეცხოველეობის პროდუქტები, 2.977 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 2.449 ცხვარი და თხა, 745 ღორი, 156 ცხენი, 24.173 ფრთა ფრინველი და 18.362.432 მანეთი ფულად.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის საქმეში დიდი როლი შეასრულეს კოლმეურნეობათა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. ამის შედეგად მკვეთრად ამაღლდა პარტიული ორგანიზაციების ავტორიტეტი, გაიზარდა მათი ბრძოლისუნარიანობა.

ქუთაისის ოლქის 734 საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია 18.360 წევრსა და წევრობის 1.390 კანდიდატს აერთიანებს. ეს მეტად დიდი ძალაა ჩვენი ოლქის სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობის საქმეში.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჩვენი პარტიის დასაყრდენი, მისი პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების გამტარებელია ფართო მასებში.

XIX ყრილობის მიერ მიღებული პარტიის ახალი წესდება მოითხოვს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას. „პარტიის საფუძველს, — ნათქვამია წესდებაში,—წარმოადგენენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები“. მათი ამოცანაა: მოაწყონ კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური სწავლება, მობილიზაცია უყონ მასებს საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, განამტკიცონ შრომის დისციპლინა და განავითარონ სოციალისტური შეჯიბრება, ფართოდ გაშალონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, აღზარდონ კომუნისტები ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

ოლქის მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები თავიანთი ამოცანების ღრმა გაგებით მუშაობენ. ამ მხრივ აღსანიშნავი არიან წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვილიშორის საკოლმეურნეო (პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. ჩიქოვანი), ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლის“ (პარტბიუროს მდივანი ამხ. რ. კილაძე) და ზოგიერთი სხვა პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

მაგრამ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ერთი ნაწილი სრული პასუხისმგებლობით არ ეკიდება შინაპარტიული და ორგანიზაციული მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებას, არ ზრუნავს კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებისათვის.

ცუდად მუშაობს მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ამხ. ს. თალაკვაძე). ორგანიზაციაში 69 კომუნისტი ირიცხება. მათგან 10 არავითარ პარტიულ დავალებას არ ასრულებს. სუსტად მუშაობენ პარტიული ჯგუფები. № 4 ბრიგადის პარტიული ჯგუფის ორგანიზატორმა ამხ. ასათიანმა არ იცის ბრიგადაში მუშახელის რაოდენობა, არ იცნობს ბრიგადის საწარმოო გეგმას. პარტიულ ორგანიზაციას ერთხელაც არ მოუსმენია პარტჯგუფების მუშაობის საკითხი.

ანალოგიური მდგომარეობაა ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ვარძიის და მთელ რიგ სხვა საკოლმეურნეო პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის მოდუნებას ისიც იწვევს, რომ პარტიის ზოგიერთი რაიონული კომიტეტი კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებს მათი პარტიული ორგანიზაციებისათვის გვერდის ავლით. ხელმძღვანელობის ასეთი მეთოდი ანელებს კომუნისტების აქტივობას, მათი პასუხისმგებლობის გრძნობას.

პარტიის ცხაკაიას რაიონული კომიტეტის მუშაკები კოლმეურნეობებში მისვლისას არ ეცნობიან პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, საფუძვლიანად არ სწავლობენ კოლმეურნეობათა ჩამორჩენის მიზეზებს. ამის შედეგად რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში სუსტად დგას პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, არ სრულდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები, სახელმწიფო ვალდებულებანი.

პარტიის რაიკომები ვალდებული არიან სისტემატურად იმუშაონ საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების აღსაზრდელად, კონკრეტული დახმარება აღმოუჩინონ მათ პარტიული მუშაობის მეთოდების დაუფლებაში.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისადმი დახმარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს სემინარები. მაგრამ მარტო სემინარებით, რაიკომის ბიუროს სხდომებსა და პლენუმებზე პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ანგარიშების მოსმენით (როდი ამოიწურება პირველადი პარტორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება. პარტიის რაიკომის მდივნები, განყოფილებათა გამგეები, ინსტრუქტორები, რაიკომის წევრები სისტემატურად უნდა დადიოდნენ ადგილებზე, პრაქტიკულად ეხმარებოდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს მუშაობაში.

პარტიის რაიკომის მხრივ სუსტი ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგია ისიც, რომ მთელ რიგ საკოლმეურნეო ორგანიზაციებში იჩენენ შინაპარტიული დემოკრატია, დაბალ დონეზე დგას მუშაობა. მაგალითად, საჩხერის რაიონის სოფელ სავანის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში წელს მოწვეული პარტბიუროს სხდომები მხოლოდ პარტიული კრებების მოწვევის დროისა და დღის წესრიგის განსაზღვრისადმი არის მიძღვნილი.

პარტიული კრება კომუნისტების აღზრდის სკოლაა. მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარებული კრება პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების მძლავრი საშუალებაა, იგი უაღრესად დიდ გავლენას ახდენს კომუნისტების შეგნებულობის ამაღლებაზე, ხელს უწყობს მათს გამოწრთობას პრაქტიკულ პარტიულ მუშაობაში. ამ მხრივ კარგად არის მუშაობა დაყენებული ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლის“, ოფშკვითის ბერიას სახელობის, წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებში. ამ პარტიულ ორგანიზაციებში მაღალია პარტიული კრებების იდეური დონე, მათი მომზადებისა და ჩატარების ხარისხი. საკოლმეურნეო საკითხებთან ერთად პარტიულ კრებებზე სისტემატურად განიხილავენ შინაპარტიული მუშაობის საკითხებს, უზრუნველყოფენ მიღებულ დადგენილებათა განხორციელებას. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ აღნიშნული პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ გავლენას ახდენენ კოლმეურნეობათა ცხოვრებაზე, აღწევენ იმას, რომ ეს კოლმეურნეობები მოწინავეთა რიგებში იდგნენ.

მაგრამ ასე არ არის ყველგან. ჭიათურის რაიონის სოფელ ვაშვეის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში იშვიათად იწვევენ პარტიულ კრებას. ზოგჯერ კრებებს კომუნისტების დიდი ნაწილი არ ესწრება.

სიტყვისა და საქმის, გადაწყვეტილებისა და შესრულების ერთიანობა — ასეთია უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა, რომელსაც ჩვენი პარტიის წესდება უყენებს თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას, თვითეულ კომუნისტს.

შესრულების კარგად მოწყობილი შემოწმება ხელს უწყობს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას, პარტიულ გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებას.

ოლქის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების დიდი ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება შესრულების შემოწმებას და წარმატებასაც აღწევს პარტიულ კრებებზე მიღებულ დადგენილებათა განხორციელების საქმეში. მაგრამ ბევრგან შესრულების შემოწმება არასაკმაო ყურადღება ექცევა. ვანის რაიონის სოფელ შუამთის საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ მიმდინარე წლის 16 ივნისს განიხილა საკითხი — კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი დოვლათის დატაცებასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ; სათანადო დადგენილებაც მიიღო. კრების გადაწყვეტილებით ამ დადგენილების შესრულება უნდა შეემოწმებინათ 22 ივლისამდე. მაგრამ ეს დაივიწყეს და დადგენილებაც დღემდე მთლიანად არ შესრულებულა. ასეთივე მდგომარეობაა ამავე რაიონის სულორის, რომანეთისა და დუცხუნის კოლმეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებში.

ზოგიერთი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს პარტიულ დავალებათა სწორად განაწილებას. ონის რაიონის სოფელ სორის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციაში კომუნისტებს პარტიულ დავალებად უთვლიან პირდაპირ საწარმოო მოვალეობას. ფერმის გამგეს კომუნისტ გ. ბერიშვილს პარტიულ დავალებად მიცემული აქვს ფერმის მუშაობისადმი კონტროლი, მევენახეობის ბრიგადირს კომუნისტ რ. კერვალიშვილს — საკოლმეურნეო ვენახებისადმი თვალყურის დევნება, ხოლო ხობის რაიონის სოფელ პირველი ხორგის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში კომუნისტ ხ. ჯიშკარიანს პარტიულ დავალებად უთვლიან ბრიგადირობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებით საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის შიგნით შეიძლება შეიქმნას პარტიული ჯგუფები ბრიგადებსა და ფერმებში. ისინი კიდევ უფრო ახლოებენ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს კოლმეურნე მასებთან. მიუხედავად დადებითი მაგალითებისა, ბევრგან იმის გამო, რომ პარტიის რაიონული კომიტეტები სათანადოდ არ აფასებენ პარტიული ჯგუფების როლს კოლმეურნეობათა განმტკიცების საქმეში, ისინი ძლიერ სუსტად მუშაობენ, ან სრულიად არ არიან შექმნილი. მაგალითად, ხობის რაიონის პირველი ხორგის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადაში ოთხი კომუნისტია, № 3 ბრიგადაში — 6, № 6 ბრიგადაში — 8 კომუნისტი, მაგრამ აქ პარტიული ჯგუფები ჯერ კიდევ არ არის შექმნილი. ასეთი ფაქტები ოლქის სხვა რაიონებშიც არის.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. პარტიული ჯგუფი უნდა შეიქმნას და მუშაობდეს ყოველ ბრიგადასა და ფერმაში, სადაც კი ამის შესაძლებლობა გვაქვს. ამასთან პარტიის რაიკომებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიული ჯგუფების ორგანიზატორების შერჩევასა და აღზრდას.

ოლქის საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის. ისინი ახლა გაცილებით უკეთესად ხელმძღვანელობენ კომუნისტთა პოლიტიკური განათლების საქმეს. მაგრამ ცხაკაიას რაიონის ზოგიერთ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციაში დაბალ იდეურ დონეზე დგას კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმე. წრეებისა და სკოლების მსმენელთა ერთი ნაწილი ელემენტარულ საკითხებში ვერ ერკვევა. ასეთი მდგომარეობა სხვაგანაც არის.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების ვალია მიაღწიონ მთელი იდეური მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას, კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმის მაღალ თეორიულ დონეზე მოწყობას, საგაგიცაო-მასობრივი მუშაობის გაძლიერებას. ამ საქმეში მათ ყოველდღიურად უნდა ხელმძღვანელობდნენ და ეხმარებოდნენ პარტიის რაიონული კომიტეტები.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიონული კომიტეტების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სოფლად კომკავშირული მუშაობისადმი ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესება, მით უმეტეს, რომ ოლქის ბევრი საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაცია ძალიან სუსტად მუშაობს, დაბალია შინაკომკავშირული მუშაობის დონე და კომკავშირელთა ავანგარდული როლი კოლმეურნეობებში.

ლენინ—სტალინის პარტია ძლიერია მასებთან მტკიცე კავშირით. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლის უპარტიო აქტივი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მტკიცე დასაყრდენია. მასებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები პერიოდულად უნდა აწყობდნენ ღია პარტიულ კრებებს, განუმარტავდნენ მასებს პარტიის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს და აქტიურად აბამდნენ მათ საკოლმეურნეო მშენებლობაში. არ უნდა დავიიწყოთ, რომ უპარტიო აქტივთან მუშაობაზე დამოკიდებულია პარტიული ორგანიზაციების ზრდა მოწინავე, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული ადამიანებით.

ოლქის მთელ რიგ კოლმეურნეობებში პარტიულ-ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სუსტად დაყენების შედეგია ის, რომ წელს სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგები ჩამორჩნენ, ბევრგან არ შესრულებულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის, მეაბრეშუმეობისა და მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმები. მიუხედავად მეტად ხელსაყრელი კლიმატური პირობებისა, მთელ რიგ კოლმეურნეობებში გაჭიანურდა საშემოდგომო ხრობლისა და ბოსტნეული კულტურების თესვა; სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სიმინდის, სოიას, ლობიოს, ბოსტნეულის და სხვა საგაზაფხულო კულტურების თესლის გამოყოფა, შენახვა და ლაბორატორული შემოწმება. ასევე არადამაკმაყოფილებელია ოლქში 1953 წლისათვის ციტრუსების გასაშენებლად ნიადაგის მომზადება.

პარტიის რაიკომებმა მეტი ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობათა პირველად პარტიულ ორგანიზაციებს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებაში, კომუნისტებისა და საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა ინიციატივის და შემოქმედებითი აქტივობის განვითარებაში, კოლმეურნეობათა გამგეობების საქმიანობისადმი ქმედითი კონტროლის მოწყობაში, სოფლის მშრომელთა მასების დარაზმვაში.

ქუთაისის ოლქის კომუნისტები, ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილნი, პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით, ამხანაგ სტალინის გენიალური მითითებებით შეიარაღებულნი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დახმარებით ყველაფერს გააკეთებენ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ბოლომდე აღმოფხვრისათვის, ერთსულოვნად დარაზმავენ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს მეხუთე ხუთწლიანი გეგმით ოლქის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული დიდი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ინციდენტი

ა. წ. 10 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა სსრ კავშირში ბ-ნმა ო'შონესიმ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ი. ა. მალიკს გამოუგზავნა ნოტა, რომელიც შეიცავდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოთხოვნას ამერიკის სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავის ს-47 და იმ საგნების დაბრუნების შესახებ, რომლებიც თვითმფრინავში იყო.

ნოტაში მოხსენებულმა თვითმფრინავმა, როგორც ცნობილია, 1951 წლის 19 ნოემბერს დაარღვია უნგრეთის საზღვარი, შეიჭრა ზონაში, სადაც განლაგებულია საბჭოთა ავიაცია, რომელიც უნგრეთში იმყოფება საზავო ხელშეკრულების 22-ე მუხლის შესაბამისად, და საბჭოთა მრჩეველ - ავიაგამანადგურებლებმა იგი აიძულეს დაშვებულიყო უნგრეთის ტერიტორიაზე.

ი. ა. მალიკმა აღნიშნული ნოტა დაუბრუნა ბ-ნ ო'შონესის შემდეგი თანმხლები წერილით.

„ამასთან გიბრუნებთ თქვენს ამა წლის 10 დეკემბრის № 473 ნოტას, როგორც არადანიშნულებისამებრ გამოგზავნილს, რამდენადაც იგი შეეხება საკითხს ამერიკის სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავის ს-47 შესახებ, რომელმაც 1951 წლის ნოემბერში დაარღვია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვარი და რომელსაც მასში მყოფ საგნებთან ერთად უნგრეთის ხელისუფლებმა ბუდაპეშტის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენის თანახმად კონფისკაცია უყვეს“.

მშობლიურ მეზალეურგიას მივცეთ მხოლოდ მაღალხარისხოვანი მარგანეცი

ჩვენი მშობლიური მეტალურგია ყოველწლიურად მეტ და მაღალხარისხოვან მარგანეცს მოითხოვს. ახალ სტალინურ ხუთწლედში მარგანეცის დამზადება დიდად უნდა გაიზარდოს. ამ საპატიო ამოცანის შესასრულებლად თავდადებით შრომობენ ჭიათურელი მაღაროელები. წელს მარგანეცის ტრესტმა ვადამდე შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა. მაგრამ მარგანეცის მრეწველობის მუშაობაში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს.

მართალია, მარგანეცის ტრესტმა და ცალკეულმა მაღაროებმა სერიოზული ღონისძიებანი გაატარეს პირველხარისხოვანი მარგანეცის დამზადების გასადიდებლად და მეოთხე ხარისხის მადნის გამოშვების შესამცირებლად, მაგრამ ამ მხრივ მაინც არასახარბიელო სურათი გვაქვს.

განვიხილოთ ზოგიერთი მაღაროს მონაცემები: დიმიტროვის სახელობის მაღარო თითქოს ყველაზე მოწინავეა ჭიათურაში. აქ წლიური გეგმა კარგა ხანია შეასრულეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოხდა დაბალხარისხოვანი მარგანეცის გამოშვების ხარჯზე. თერთმეტ თვეში ამ მაღაროს კოლექტივმა ქვეყანას დააკლო 8.050 ტონა პირველხარისხოვანი მარგანეცი, ხოლო მარტო მეოთხე ხარისხის მადანი გეგმაზე 2.875 ტონით მეტი დაამზადა. აღარაფერს ვამბობთ კარბონატული და ფორებიანი მადნის დამზადების გეგმის დიდი გადაჭარბებით შესრულებაზე. ისე გამოდის, რომ მაღაროს კოლექტივი საერთო გეგმას დაბალხარისხოვანი მადნის დამზადების ხარჯზე ასრულებს. ლენინის სახელობის მაღარომ პირველი და მეორე ხარისხის მარგანეცი თერთმეტ თვეში 3.918 ტონით ნაკლები გამოუშვა, ხოლო მეოთხე ხარისხისა — 36.060 ტონით მეტი. სტალინის სახელობის მაღარომ გეგმის გადამეტებით 23.753 ტონა მეოთხე ხარისხის მარგანეცი დაამზადა. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმებს ბერიას სახელობის მაღაროს კოლექტივიც დაბალხარისხოვანი მარგანეცის გამოშვების გადიდებით ასრულებს.

მაღალხარისხოვანი მარგანეცის დამზადების გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მადნის გამაუხვებელ ფაბრიკებში სუსტად ინერგება ახალი ტექნიკა, ნაკლებად ზრუნავენ ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისათვის. დავასახელებთ მხოლოდ ერთ მაგალითს: ცენტრალურ გამაუხვებელ ფაბრიკაში უნდა მუშაობდეს ეგრეთწოდებული შუალედი დამუშავების საამქრო, რომელიც მეორე ხარისხის მადანს გადაამუშავებს და მაღალხარისხოვანი მარგანეცის გამოშვებას სულ მცირე 5 პროცენტით გაადიდებს. მაგრამ ეს საამქრო რატომღაც დღემდე უმოქმედოდ არის.

ზემოთმოყვანილი ფაქტებიდან სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ მარგანეცის ქალაქის პარტიულმა, საშეურნეო და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. მშობლიურ მეტალურგიას უნდა მივცეთ მეტი და მხოლოდ მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

ჯ. ჯიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ბოლო მოვუღოთ ტექნიკის შეუფასებლობას, განუხრელად ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა წლის მეორე ნახევარში საგრძნობლად გაუმჯობესა მუშაობა. ივნისიდან იგი ყოველთვიურად ასრულებს გეგმებს და ოქტომბერში წლიური გეგმის გადამეტებით ათობით აბრეშუმსაქსოვი დაზგა გამოუშვა. ამ წარმატებათა მოპოვებაში მანქანათმშენებლებს ხელი შეუწყო იმან, რომ წელს მექანიკურ და ამწყობ საამქროებში დამატებით დადგეს სხვადასხვა სახის ლითონსაჭრელი ჩარხები, ხოლო სამჭედლო საამქროში — ერთი პნევმატიკური ურო.

ჩვენი პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა მანქანათმშენებლებმა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს, საერთო პროდუქციის გამოშვების ოქტომბრის გეგმა 113 პროცენტით შეასრულეს, ამასთან 2 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია დაზოგეს.

ამ მიღწევების მიუხედავად 26 კომისრის სახელობის ქარხნის მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოსაფხვრელად საჭიროა დაირაზმოს საწარმოს მთელი კოლექტივი. მანქანათმშენებლებმა თუმცა ოქტომბერში შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა, მაგრამ ვერ შეძლეს ისეთი სახის პროდუქციის გამოშვების დავალების გაღდება, როგორიც არის ლიფტი. 10 თვეში 74 ლიფტის ნაცვლად დაამზადეს მხოლოდ ოცდაშვიდი. ვერ შეასრულეს საგეგმო დავალება შრომის ნაყოფიერების ამაღლების დარგშიც.

შრომის ნაყოფიერებაში ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ქარხანა მუშაობს არა რიტმულად, არამედ იერიშებით, ავრალებით. პირველი ამწყობი საამქრო, სადაც აბრეშუმსაქსოვი დაზგის გამოშვების საწარმოო ციკლი მთავრდება, ნოემბრის პირველ ნახევარში უმოქმედოდ იყო, ათობით კვალიფიციურ ზეინკალს სამუშაო არ ჰქონდა. დამამზადებელი საამქროებიდან ასაწყობი დეტალების მიღება მხოლოდ მეორე დეკადის მიწურულში დაიწყო. ამის შემდეგ ამოძრავდა საამქრო, გაჩაღდა „შეტევა“ გეგმის შესასრულებლად და თვიური გეგმის 70-80 პროცენტი მესამე დეკადაში შესრულდა. ასეა აქ ყოველთვიურად. ქარხნის ხელმძღვანელობა ეგუება ამ არანორმალურ მდგომარეობას—თვის განმავლობაში საამქროების არათანაბარ დატვირთვას. ცხადია, მუშაობის ასეთ პირობებში შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის ყველა სახის გამოშვების დავალების შესრულება, ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვა.

ქარხანაში ყველაზე „ვიწრო“ საწარმოო უბანს სამსხმელო საამქრო წარმოადგენს. მთელი წუნდებული პროდუქციის 90 პროცენტი სწორედ ამ საამქროზე მოდის. ლითონმსხმელები დიდად ჩამორჩებიან გეგმის შესრულებაში. ამის მიზეზია ის, რომ საამქროში ვერ იყენებენ არსებულ ტექნიკას და მუშაობენ პრიმიტიული შინამრეწველური საშუალებით. ყალიბებს ხელით ამზადებენ, რაც დიდ შრომას მოითხოვს. ამის გამო განიცდიან მუშახელის დიდ სიმცირეს. ეს მაშინ, როცა 6 თვეზე მეტია საამქროში გამოუყენებლად აწყვია ორი საყალიბო მანქანა. თვითეულ მათგანს შეუძლია შეცვალოს სულ მცირე ათი მუშა, საგრძნობლად აამაღლოს შრომის ნაყოფიერება, შეამციროს წუნი და გაუმჯობესოს ყალიბის ხარისხი. ამავე საამქროში ყალიბებს ხელის საბერველით ასუფთავებენ და გამოუყენებელია კომპრესორი, რომელიც შესანიშნავი მოწყობილობაა ყალიბების გასასუფთავებლად. აღსანიშნავია, რომ საამქროში გაყვანილი ჰაერგამტარი მილები ხელსაყრელ პირობებს ქმნიან ამ საქმის მექანიზაციისათვის, კერძოდ, კომპრესორის გამოსაყენებლად.

ქარხნის სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ხელმძღვანელობამ ბოლო უნდა მოუღოს ტექნიკის შეუფასებლობას, გააძლიეროს ბრძოლა შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის, არსებული სამანქანო პარკის მთლიანად გამოყენებისათვის, აღმოფხვრას ავრალები და „იერიშობანა“, მიაღწიოს საწარმოს რიტმულ მუშაობას, მთელი კოლექტივი დარაზმოს წლიური გეგმის ყველა მაჩვენებლით შესრულებისათვის.

თ. გოგსაძე.

ორგანიზებულად ჩავატაროთ პირუტყვის საკავშირო აღწერა

მომავალი წლის 1 იანვრიდან ჩატარდება პირუტყვის საკავშირო აღწერა. ამ აღწერას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. მან უნდა მოგვცეს ზუსტი ცნობები პირუტყვის ცალკეული სახეების სულადობისა და პროდუქტიულობის წლიური გეგმის შესრულებაზე სასოფლო საბჭოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, რაიონებსა და ოლქებში. აღწერის შედეგად მიღებული ცნობები ამავე დროს საფუძვლად დაედება მეცხოველეობის შემდგომი განვითარების დაგეგმვას.

ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ პირუტყვის აღწერას და სანიმუშოდ ჩავატაროთ იგი. საჭიროა რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელმა ორგანოებმა გულდასმით შეარჩიონ ამ დარგში საჭირო კადრები ადგილობრივი აქტივის საუკეთესო ნაწილისაგან, რომელსაც ამ საქმეში სათანადო ცოდნა და გამოცდილება აქვს. მთავრობის დადგენილებით აღწერაში მონაწილენი თავისუფლდებიან ძირითადი სამუშაოსაგან ამ საქმის დამთავრებამდე.

აღწერა რვა დღეში, ე. ი. 1-დან 8 იანვრამდე უნდა დამთავრდეს. მთელი მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ აუწერელი და გადაუთვლელი არ დარჩეს არც ერთი სული პირუტყვი. აღწერილ უნდა იქნას ყველა პირუტყვი, რომელიც 31 დეკემბრის ღამის 12 საათისათვის იქნება მეურნეობაში. აღმწერის მისვლამდე თუ პირუტყვი დაიკლა ან გაიყიდა, აუცილებლივ შეტანილ უნდა იქნას აღწერის ბლანკში. აღწერის დაწყების, ანუ 31 დეკემბრის ღამის 12 საათის შემდეგ მოგებული მოზარდი აღწერის ბლანკში არ შეიტანება.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობათა პირუტყვის საგრძნობი ნაწილი ამჟამად საზამთრო საძოვრებზეა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ ადგილებში აღმწერი ბრიგადების დროულად გაგზავნას, პირუტყვის გადათვლას და აღრიცხვას. ეს სამუშაო დეკემბრის მეორე ნახევარში უნდა დავამთავროთ, რათა ბრიგადები დაუგვიანებლივ დაბრუნდნენ და საძოვრებზე გადათვლილი პირუტყვის რაოდენობას ადგილზე აღწერილი პირუტყვის რაოდენობაც დავუმატოთ ცალკეული მეურნეობების მიხედვით. აღწერა ვადაზე ადრე უნდა ჩავატაროთ აგრეთვე ისეთ ძნელადმისასვლელ რაიონებსა და სასოფლო საბჭოებში, სადაც იანვარში ზამთრის გამო მოსალოდნელია ამ სამუშაოს შესრულების გაძნელება.

აღწერის ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოეწყობა კოლმეურნეობებში პირუტყვის ინვენტარიზაცია. ამ სამუშაოს ჩატარებაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მისმა ორგანოებმა.

რაისაბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის რაიონულმა განყოფილებებმა და კოლმეურნეობათა გამგეობებმა დეკემბრის ბოლომდე უნდა უზრუნველყონ პირუტყვის ნუმერაციის დამთავრება. ამ საქმის შეუსრულებლად შეუძლებელია ინვენტარიზაციის ხარისხოვნად მოწყობა და შემდგომი ყოველთვიური ანგარიშგების სათანადო დონეზე დაყენება.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონებისა და უბნების ინსპექტორებმა მოსამზადებელი სამუშაოებისა და თვით აღწერის პერიოდში კარგად უნდა გაითვალისწინონ წინა წლებში დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებანი, არ უნდა დაუშვან აღმწერლებისაგან ისეთი მასალების მიღება, რომელიც საფუძვლიანად არ იქნება შემოწმებული და გასინჯული. გარდა ამისა, ანგარიში კოლმეურნეობათა პირუტყვის შესახებ ჩაბარებულ უნდა იქნას მხოლოდ იმის შემდეგ, რაც დავრწმუნდებით, რომ პირუტყვი ნამდვილად არის გადათვლილი. ამასთან საჭიროა აღწერის ბლანკი ჩაბარებამდე აუცილებლივ განიხილოს კოლმეურნეობის გამგეობამ და ცნობების სისწორე ხელისმოწერით დაადასტუროს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და ბუხჰალტერმა.

ასევე საჭიროა ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონულმა ინსპექტორებმა ყველა ღონისძიება გამოიყენონ იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული გეგმის შესრულების „შეფერადების“ მიზნით ცნობების დამახინჯება. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები დაშვებული იყო რესპუბლიკის ზოგიერთ კოლმეურნეობაში. მაგალითად, მიმდინარე წლის დასაწყისში არასწორი ანუ ხელოვნურად გაზრდილი ცნობები უჩვენა პირუტყვის სულადობაზე ყაზბეგის რაიონის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ. ასევე არასწორად მოიქცნენ ახალქალაქის რაიონის შაუმიანის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის, ვოროშილოვის სახელობის, აგრეთვე გორის რაიონის სოფელ ნადარბაზევის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები.

ცუდი მუშაობის კვალის დაფარვის მიზნით წლების მანძილზე არასწორ ცნობებს იძლეოდა ელდარის საბჭოთა მეურნეობის დირექცია. ეს დანაშაულია. და ასეთი რამ წელს არ უნდა გამეორდეს. ის, ვინც კვლავ შეეცდება აღწერის ბლანკში შეიტანოს არასწორი მაჩვენებლები ან აღმწერს მიაწოდებს არაზუსტ ცნობებს, სათანადოდ უნდა დაისაჯოს.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ პირუტყვის აღწერა რთული სტატისტიკური ოპერაციაა. იგი მოითხოვს თავიდანვე მეტ ორგანიზებულობას, დიდ სიზუსტეს მუშაობაში, ყოველდღიურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს. ეს სამუშაო წარმატებით ჩატარდება იქ, სადაც მას თავიდანვე სწორად შეაფასებენ და უხელმძღვანელებენ პარტიის რაიონული კომიტეტები და რაისაბჭოების აღმასკომები.

აღწერის სიზუსტისათვის აუცილებლად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ საკონტროლო შემოვლის მოწყობას წინასწარ შერჩეულ დასახლებულ პუნქტებში. გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ საკონტროლო შემოვლის საფუძველზე საჭიროა დავადგინოთ შესწორებათა კოეფიციენტი, შემდეგ კი ამის მიხედვით გადაანგარიშოთ აღწერის რაიონული ჯამი.

ყოველთვის მტკიცედ უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ცნობების სწორად დაჯამებას, მათს განხილვას სასოფლო საბჭოების მიერ და დროულად წარდგენას სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონულ განყოფილებაში. ამის შემდეგ ყოველმხრივ შემოწმებული და განხილული მასალები დაუგვიანებლივ უნდა წარედგინოს ოლქის სტატისტიკურ სამმართველოებს. საჭიროა აღწერის მასალებს დაერთოს განხილვის ოქმები და ახსნა-განმარტებითი ბარათი. მასში ასახული უნდა იყოს მეცხოველეობის განვითარებისა და გეგმის შესრულების სრული ანალიზი.

ა. ხაჩიძე,
საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე.

გორი. საკონსერვო ქარხანა. მთავარი საამქროს ის ბრიგადა, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ეუფემია ბერიძე ხელმძღვანელობს, დღიურ დავალებას 135-140 პროცენტით ასრულებს. **სურათზე:** ე. ბერიძე (მარცხნივ) ამოწმებს სტაბანოველ ე. წოწოლაშვილის მიერ გამოშვებულ პროდუქციას.

ფოტო ი. ბეჟაშვილისა.

შრომითი აღმავლობა გორის საწარმოებში

გორი. (საკ. კორ.). ბელადის სამშობლო ქალაქის საწარმოთა და ახალშენებლობათა კოლექტივებმა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით აღნიშნეს სტალინური კონსტიტუციის დღე. საკასრე-საყუთე ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა და უკვე მრავალი ათეული ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა. შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა კასრების დამამზადებელი საამქრო, რომელმაც წლიური გეგმა პირველი დეკემბრისათვის 121 პროცენტით გაანაღდა და 1953 წლის ანგარიშში ათასობით ცალი კასრი დაამზადა.

გორის შპალსაჟღენთი ქარხნის კოლექტივმა 11 თვის საწარმოო დავალება 7 ნოემბრისათვის 105 პროცენტით შეასრულა, ხოლო წლიური გეგმა 28 ნოემბრისათვის გაანაღდა.

11 თვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა საკონსერვო ქარხნის ბოსტნეულის სახმობის საამქრომ, რომელსაც ამ წარმატებისათვის ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა. მოწინავე ადამიანებმა ზ. აბრამაშვილმა, ნ. კუდუხაშვილმა, კ. შენგელიამ დიდი ხანია შეასრულეს წლიური გეგმები. ამჟამად ისინი მომავალი წლის ანგარიშში უშვებენ საკონსერვო ნაწარმს და ცვლის დავალებას საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებენ.

მტკვრის ხიდის მშენებელთა კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა 11 თვის გეგმა და ენერგიულად იბრძვის მშენებლობის ვადამდე დამთავრებისათვის.

დიდი შრომითი აღმავლობაა ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია მექანიკურმა სახელოსნომ. სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შედეგად ამ საწარმომ წლიური დავალება 163 პროცენტით გაანაღდა. ლუდ-ლიმონათის ქარხანამ წლიური გეგმა 124,7 პროცენტით შეასრულა და ამჟამად პროდუქციას 1953 წლის ანგარიშში უშვებს. მთლიანად ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა 11 თვის გეგმა 106,2 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოუშვა პროდუქცია.

სამეცნიერო სესია რუსთავში

რუსთავი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სხდომათა დარბაზში შედგა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ჰიგიენის, შრომის, პროფესიულ დაავადებათა და სანიტარული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკთა გამსვლელი სამეცნიერო სესია.

სამრეწველო საწარმოთა მუშების სამედიცინო-სანიტარული მომსახურების ორგანიზაციის, ჰიგიენი მანარევთა შესწავლის, საწარმოებში სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის ფორმებისა და მეთოდების, ქარხნის ცხელ საამქროებში წყალის სმის რეჟიმის დაცვის მნიშვნელობისა და სხვა საკითხებზე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ა. ხმალაძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები გ. ფოცხელაური, ი. ჩოხელი, შ. ხაჩიძე და სხვები.

მომხსენებლებმა — რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ ს. ტიტვინიძემ, ექიმებმა ი. დავარაშვილმა, ფ. ლაბაძემ, მ. ცომბალოვამ ილაპარაკეს რუსთავში ჯანმრთელობის დაცვის, სანიტარული რეჟიმის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუჯობესების პერსპექტივებზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ნ. გომელაურმა, რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ჯ. ფუსერიძემ, მეტალურგიული ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ბუაძემ, ექიმმა ნ. დარჩიამ და სხვებმა. მათ მედიცინის მეცნიერ მუშაკებს მოუწოდეს უფრო მჭიდრო კავშირი იერონონ მეტალურგიულ საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებთან.

ბავშვთა სანატორიუმი წყალტუბოში

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ბავშვებისათვის წყალტუბოში გახსნა 50-საწოლიანი სანატორიუმი.

სანატორიუმს აქვს სამკითხველო, სასადილო დარბაზი, ჰიგიენური აბაზანები. სანატორიუმს მომსახურებას უწევს 3 სხვადასხვა სპეციალობის ექიმი, 2 პედაგოგი და სხვ. აქ უკვე მოწყობილია კლინიკურ-დიაგნოსტიკური კაბინეტი; უახლოეს ხანში გაიხსნება რენტგენის კაბინეტი და მოეწყობა სამკურნალო ფიზიოთერაპიის ოთახი.

ამ დღეებში სანატორიუმს, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს, ესტუმრა თბილისიდან, ბათუმიდან და სხვ. დამსვენებელთა პირველი ნაკადი — 7-14 წლის ბავშვები.

მშობელთა უნივერსიტეტი

სტალინირი. (საკ. კორ.). სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა მოაწყო მშობელთა უნივერსიტეტი, რომელშიც გაერთიანებულია ქალაქის სკოლების მოსწავლეთა 300-მდე მშობელი.

მშობელთა უნივერსიტეტს ხელმძღვანელობს პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის გამგე დოცენტი ტ. სარიშვილი. უნივერსიტეტის მსმენელები ისმენენ ლექციებს თემებზე: „სკოლისა და ოჯახის ერთობლივი ღონისძიებანი ბავშვთა აღზრდის საქმეში,“ „ოჯახის როლი პატრიოტიზმის აღზრდაში,“ „ოჯახში ბავშვთა კომუნისტური მორალის აღზრდის შესახებ“ და სხვ.

ლექციებს კითხულობენ პედინსტიტუტის ლექტორები ა. ღლონტი, ა. თოფურია, შ. გაფრინდაშვილი და სხვ.

სამეცნიერო სესია ბორჯომში

ბორჯომი. (საკ. კორ.). ბორჯომ-ხარაგაულის სანატორიუმთა სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოებამ ბორჯომში ჩაატარა ამ ოლქის ექიმთა ერთობლივი სამეცნიერო სესია.

ექიმ-ფიზიოლოგ ბ. ბაბალიანის, ექიმ-ბაქტერიოლოგ ბ. ბაბალიანის, ექიმ-ბიოქიმიკოს ბ. ბაბალიანის, ექიმ-ბიოლოგ ბ. ბაბალიანის, ექიმ-ბიოლოგ ბ. ბაბალიანის, ექიმ-ბიოლოგ

გაიხსნა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი

ვენა, 12 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ვენაში, საღამოს 4 საათსა და 45 წუთზე შუა ევროპის დროით, „კონცერტჰაუსის“ დიდ საკონცერტო დარბაზში გაიხსნა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი. დარბაზი მორთულია ცისფერი ტილოებით, მშვიდობის ემბლემებითა და დედამიწის ყველა იმ ქვეყნის სახელმწიფო ალმებით, რომელთა წარმომადგენლებიც იღებენ მონაწილეობას კონგრესის მუშაობაში. კონგრესზე შეიკრიბა ორი ათასამდე დელეგატი. ნაწილი დელეგატებისა ჯერ კიდევ გზაშია. კონგრესს ესწრება მრავალი სტუმარი და 150-ზე მეტი ჟურნალისტი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურ მდივანს ჟან ლაფიტს წინადადება შეაქვს არჩეულ იქნას კონგრესის პრეზიდიუმი 150 კაცის შემადგენლობით. კონგრესის მონაწილენი ერთხმად ირჩევენ პრეზიდიუმს.

კონგრესს ხსნის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი ფრედერიკ ჟოლიო-კიური. იგი მისალმებისათვის სიტყვას აძლევს ავსტრიის მშვიდობის მომხრეთა საბჭოს თავმჯდომარეს პასტორ ერვინ კოკს.

შემდეგ ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის ამოცანების შესახებ შესავალი სიტყვა წარმოთქვა პროფესორმა ჟოლიო კიურიმ. ტრიბუნაზე მის გამოჩენას მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეეგება მთელი დარბაზი.

ადენაუერის რეჟიმის უკანონოობათა წინააღმდეგ!

მაქს რაიმანის განცხადება

ბერლინი, 11 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დემოკრატიულმა პრესამ გამოაქვეყნა გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის თავმჯდომარის მაქს რაიმანის განცხადება, რომელიც ამხილებს ადენაუერის მანევრებს, რაც არღვევს დასავლეთ გერმანიის „ძირითად კანონს“. რაიმანი მოუწოდებს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას და, უწინარეს ყოვლისა, მუშათა კლასს წინააღმდეგობა გაუწიონ ადენაუერის ანტიეროვნულ პოლიტიკას.

შეეხო რა ბონის მთავრობის მანევრებს, რომელთა მიზანია, არ იქნას დაშვებული ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა, რაიმანმა განაცხადა:

ამ მოვლენამ მთელ ხალხს დაანახვა, რომ კონსტიტუციური სასამართლო დამოუკიდებელი არ არის. იმათ, ვისაც სურს რადაც უნდა დაუჯდეს მიაღწიოს სამხედრო ხელშეკრულებათა მიღებას, ბრძანება გასცეს, და ფედერალურ კონსტიტუციურ სასამართლოს აღიკვეთა თავისი ფუნქციების შესრულების შესაძლებლობა. ამით არა მარტო გადაყენებულ იქნა ბონის სახელმწიფოს უმაღლესი სასამართლო ინსტანცია, არამედ ფეხქვეშ გათელა მისი კონსტიტუციური საფუძველი.

მაქს რაიმანი ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასავლეთ გერმანიაში ხელმწიფო კრიზისი დადგა და რომ ადენაუერი ცდილობს სახელმწიფო გადატრიალების გზას, რასთვისაც „ძალა დაუკარგა კონსტიტუციის არსებით დებულებებს, რათა დაამყაროს „საერთო ხელშეკრულებისა“ და „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ხელშეკრულების (ე. ი. ბონისა და პარიზის ხელშეკრულებების) სამხედრო დიქტატურა“.

ადენაუერი, აღნიშნულია განცხადებაში, ზრუნავს არა სამართლისა და კანონისათვის. როცა ლაპარაკია ამერიკის ბრძანებების განხორციელების შესახებ, ძირითადი კანონი ადენაუერისათვის ნიშნავს უბრალო ნაკუწ ქაღალდს და სხვას არაფერს.

ლაპარაკობს რა სოციალ-დემოკრატიის წინამძღოლთა პოზიციის შესახებ, მაქს რაიმანი აღნიშნავს, რომ შექმნილი მდგომარეობა მათი ქცევის შედეგია. სწორედ მათ, განაცხადა მაქს რაიმანმა, მისცეს ხალხს წინადადება დაეყრდნოს ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილებას. სწორედ ისინი გაიკვლენ კონსტატუციურ სასამართლოში ბუნდესტაგის მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების წინ. მათ შეუწყეს ხელი ადენაუერის სახელმწიფო გადატრიალების წარმატებას. ისინი აკავებდნენ მუშათა კლასს, რომ არ ემოქმედნა.

მაქს რაიმანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადენაუერის გეგმების განხორციელების თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ პარლამენტის გარეშე ბრძოლით. ჩვენი ხალხისათვის მრისხანე საშიშროების ჟამს, თქვა რაიმანმა, ჩვენ მოვუწოდებთ მუშათა კლასს არ დაუშვას სახელმწიფო გადატრიალება, კონსტიტუციისა და სამართლის დარღვევა. მუშათა კლასისა და ჩვენი ხალხის გაერთიანებული ძალები უფრო ძლიერია, ვიდრე ამერიკის ბრძანება და კონსტიტუციის დამრღვევი ადენაუერის რეჟიმი.

ჩვენ მოვუწოდებთ მუშათა კლასს საწარმოებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებში დაუყოვნებლივ მიაღწიოს. მოქმედების ერთიანობას, დემონსტრაციებისა და გაფიცვების მოწყობით ჩაშალოს ადენაუერის სახელმწიფო გადატრიალების განხორციელება და იბრძოლოს დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ადენაუერის რეჟიმი უნდა დაამხოს ხალხმა და შეაცვალოს იგი ეროვნული გაერთიანების მთავრობით, რომელიც დაეყრდნობა დასავლეთ გერმანიის ყველა პატრიოტულ ძალებს.

ბონის სამხედრო შეთქმულების წინააღმდეგ!

ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების ცენტრალური გამგეობის მოწოდება

ბერლინი, 11 დეკემბერი. (საკდესი). ადენაუერის საგენტოს ცნობით, ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების ცენტრალურმა გამგეობამ გერმანელ ხალხს მიმართა მოწოდებით — შეასრულოს ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში წინაააღმდეგობის ანტიფაშისტური მოძრაობის დაღუპულ მებრძოლთა ანდერძი. მოწოდებაში, კერძოდ, ნათქვამია:

მიუხედავად იმისა, რომ მასების ზეგავლენით ადენაუერის რეჟიმი იძულებული გახდა უკან დაეხია, მიუხედავად სამხედრო ხელშეკრულებათა რატიფიკაციის დროებითი დაყოვნებისა, მას, გერმანელი ხალხის ნების წინააღმდეგ, სურს ყოველი საშუალებით გააძვრინოს სამხედრო „საერთო ხელშეკრულებისა“ და პარიზის სამხედრო შეთანხმების რატიფიკაცია.

ამიტომ ადენაუერი სულმოუთქმელად აქცევს და ადიდებს ჰიტლერის არმიას. ამიტომ იგი ციხეებიდან ათავისუფლებს ნაცისტ-ოფიცრებს, ანიჭებს ჯილდოებს ჰიტლერის ომს და ქადაგებს „შეტევას აღმოსავლეთისკენ“.

მოწოდება მოაგონებს ერნსტ ტელმანის გამაფრთხილებელ სიტყვებს, რომლებითაც მან 1932 წელს მიმართა ახალგაზრდობას და რომლებიც გერმანელმა პატრიოტებმა არ უნდა დავიწყონ არც ახლანდელ მომენტში, სახელდობრ, რომ იმპერიალისტური შეიარაღება და მილიტარიზმი განთავისუფლებას კი არ მოასწავებენ, არამედ, პირიქით, საპყრობილის რეჟიმის დამყარებას, უფრო მეტიც, დამონებას, რეპრესიებსა და დაკაბალებას.

დასასრულ მიმართავა მოუწოდებს გერმანელ ხალხს გააძლიეროს ბრძოლა ბონის სამხედრო შეთქმულების წინააღმდეგ, ადენაუერის მთავრობის დასამხობად, რომელიც ომისაკენ ისწრაფვის, გააძლიეროს ბრძოლა, რათა გზა გაუკაფოს გერმანიის ეროვნული გაერთიანების მთავრობას.

მშვიდობის ახალგაზრდული ესტაფეტი ვენისაკენ მიდის

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის სამდივნოს განცხადება

გუდაკეფტი, 11 დეკემბერი. (საკდესი). განცხადებაში, რომელიც დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის სამდივნომ გამოაქვეყნა, აღნიშნულია მშვიდობის საერთაშორისო ახალგაზრდული ესტაფეტის წარმატება.

მთელი მსოფლიოს მილიონობით ახალგაზრდის თვალი, ნათქვამია განცხადებაში, მიპყრობილია ხალხთა მშვიდობის დაცვის მომავალი კონგრესისადმი. ახალგაზრდობა ემზადება კონგრესის წარმატებით ჩატარებისათვის. მშვიდობის საერთაშორისო ახალგაზრდული ესტაფეტის მონაწილეებმა თავიანთი გზა დაიწყეს ფინეთში, იტალიაში, დიდ ბრიტანეთში, ბულგარეთსა და პოლონეთში, ევროპის ყველა ქვეყანაზე გავლით მიდიან ვენას, რათა წერილი გადასცენ ხალხთა მშვიდობის დაცვის დიდ კონგრესს.

27 ნოემბერს დასავლეთის ესტაფეტი, რომელიც გამოვიდა დიდი ბრიტანეთიდან, სადაც მისი გზა აღნიშნული იყო სამხედრო სამსახურის არსებული ვადის წინააღმდეგ პროტესტზე ხელმოწერის შეგროვების გაძლიერებით, აღტაცებით მიიღეს ბრიუსელში. ახალგაზრდა ბელგიელებმა და ინგლისის ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ესტაფეტის გადაცემისას მოწყობილ გრანდიოზულ მანიფესტაციაში. ნოემბრის დამლევს ესტაფეტი გადაეცათ შვეიცარიელებს, რომლებიც, თავის მხრივ, მას ავსტრიელებს გადასცემენ. შვეიცარიაში ესტაფეტის მსვლელობის გზაზე აწყობენ კრებებს. აჩვენებენ კინოფილმებს.

ცენტრის ესტაფეტმა გზა პოლონეთში დაიწყო. იგი ჩავიდა ქალაქ სლუბიცეში, რომელიც პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარზე მდებარეობს. ესტაფეტში მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის ყველა სავოევოდოს ახალგაზრდა წარმომადგენლებმა, პოლონეთის მშრომელი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილმა. სავოევოდოების, მაზრების, სოფლების, დაწესებულებების, სკოლების 6 ათასზე მეტმა ესტაფეტმა მთელ პოლონეთში გაატარა 12 ათასი წერილი, რომლებშიც ლაპარაკია პოლონელი ახალგაზრდობის ბრძოლაზე მშვიდობისათვის, აგრეთვე მოთავსებულია მისალმებანი და წერილები ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მისამართით.

ოდერის ფრანკფურტში გამართულ დიდ მიტინგზე პოლონელი ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა ესტაფეტი გადასცეს ახალგაზრდა გერმანელებს.

ჩრდილოეთის ესტაფეტის მონაწილეებმა, რომლებმაც სტარტი 11 ნოემბერს ფინეთში დაიწყეს, გაიარეს შვეცია, ნორვეგია და დანია. ახალგაზრდა დანიელებმა ესტაფეტი გადასცეს დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდობას. იმავე დღეს დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდობამ მაგდებურგში ესტაფეტი გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობას. აქედან იგი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გავლით გაემართა ჩეხოსლოვაკიასა და ავსტრიაში.

ბულგარეთის ესტაფეტმა მთელი ბულგარეთი გაიარა, იგი გადაეცა რუმინელ ახალგაზრდობას, რომელმაც შემდეგ ჩაბარა უნგრეთის ახალგაზრდობას. აქედან ესტაფეტი ვენისაკენ გაემართა.

30 ნოემბერს ხმელთაშუა ზღვის ესტაფეტის მონაწილენი, იტალიაში, რომელთაც ათასობით ახალგაზრდა გენუელი მიესალმა, გენუიდან გაემგზავრნენ. ამ ესტაფეტის მონაწილეებმა გაიარეს მთელი ჩრდილოეთი იტალია და შემდეგ შეუერთდნენ იტალიელი ახალგაზრდობის მეორე ჯგუფს, რომელიც ლივორნოდან გამოვიდა. ესტაფეტის მონაწილეებს მიაქვთ მშვიდობის დროშები, აგრეთვე წერილები, რომლებსაც ხელს აწერენ იტალიის სხვადასხვა ქალაქის მერები და სხვა თვალსაჩინო მოღვაწეები.

მშვიდობის საერთაშორისო ახალგაზრდული ესტაფეტი ამჟამად ვენისაკენ მიდის. ესტაფეტის მონაწილეებმა ათასობით კილომეტრი გაიარეს. მათ მიაქვთ ათასობით წერილი, რომლებიც გამოხატავენ ხალხების, მთელი მსოფლიოს მრავალმილიონიანი ახალგაზრდობის მისწრაფებას მშვიდობისადმი. ეს წერილები გადაეცემა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესს, რომელიც ვენაში გაიხსნება და რომლისადმი მიპყრობილია მთელი ახალგაზრდა თაობის თვალი. წერილებში ლაპარაკია მთელი დედამიწის ახალგაზრდების მიერ მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლაში შეტანილ გრანდიოზულ წვლილზე.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 11 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 11 დეკემბერს გამოაქვეყნა ცნობა:

განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები ჩხოლვონის ჩრდილოეთით მცირე ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელთა ჯარების წინააღმდეგ.

გუშინ კესონის ჩრდილოეთით სანაპირო დაცვის ნაწილებმა ჩაძარეს ამერიკის 2 კატერი.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 2 და დააზიანეს 5 თვითმფრინავი.

ირანის მეჯლისში

თეირანი, 12 დეკემბერი. (საკდესი). თეირანის რადიოს ცნობით, გუშინ გაიმართა მეჯლისის ღია სხდომა.

სხდომაზე გამოსული დეპუტატი ნარიმანი შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებას იმის შესახებ, რომ ამერიკულ ნავთის კომპანიებს განზრახვა აქვთ შეისყიდონ ირანის ნავთი, და თქვა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, მისი თვალსაზრისით, არის განცხადების საბოლოო ნაწილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით, ყველაზე კარდინალური საკითხია გადაჭრას დავა ორ ზხარეს შორის სოლიდური კომპენსაციის გადახდით საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

— მტკიცე პროტესტს ვაცხადებ ამ წინადადების წინააღმდეგ, — თქვა ნარიმანმა.—რომელი საერთაშორისო კანონები აცხადებენ, რომ საკადებულია კომპენსაციის გადახდა საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე? რომელ კომპეტენტურ პიროვნებას შეუძლია ცნოს, რომ ერთი კერძო კომპანიის (ე. ი. ყოფილი ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის. **რედ.**) პრეტენზიების საკითხი, რომლის გარჩევაში კომპეტენტურია მხოლოდ ირანის სასამართლო და რომელიც წმინდა სამინო საქმეა, შეიძლება გადაიკრას საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე? განა საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძვლები, რომლებზეც ლაპარაკია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში, ის არის, რომ 50 წლის მანძილზე ძარცვავდნენ ჩვენს უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ სიმდიდრეს და მშიერსა და ღატაკს ტოვებდნენ ირანელ ხალხს, ხოლო როცა ამ ხალხს სურს თვითონ გამოიყენოს საკუთარი ეროვნული სიმდიდრე, მას წინადადებას აძლევენ საკმაოდ სოლიდური კომპენსაცია გადაუხადოს მძარცველებს როგორც საზღაური ძარცვისათვის?

ირანელ ხალხს სურს თვითონ მთლიანად და სრულებით გამოიყენოს თავისი ნავთის საბადოები.

მეორე საკითხი, აღნიშნა ნარიმანმა, რომელსაც საჭიროდ მიმაჩნია მივაქციო მთავრობის ყურადღება, არის იმ ზიანის აღმოფხვრის საკითხი, რასაც ირანელ ხალხს ინგლისთან ვაჭრობა აყენებს, როგორც უკვე წინათ ვილაპარაკე, ირანს ყოველწლიურად საშუალოდ 120 მილიონი თუმნის ზარალი მოსდის ინგლისთან ვაჭრობით. ჩვენ გვეგონა, რომ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ ირანელი ვაჭრები საქმით შეწყვეტდნენ სავაჭრო ურთიერთობას ამ ქვეყანასთან. ამაზე ბევრი ლაპარაკი იყო, მაგრამ საქმრო შედეგი დღემდე არ არის. საჭიროა, რომ მთავრობამ საჩქაროდ და გულდასმით განიხილოს ინგლისთან ეკონომიკური ურთიერთობის გაწყვეტის საკითხი, რათა ჩვენ ინგლისს ყოველწლიურად არ ვუწევდეთ დახმარებას 120 მილიონი თუმნის რაოდენობით ირანის მიმართ ეკონომიკური ბლოკადის განსახორციელებლად.

პროფესორები იტალიაში საარჩევნო სისტემის „რეფორმის“ პროექტის წინააღმდეგ

რომი, 10 დეკემბერი. (საკდესი). მთელ იტალიაში იმართება ფართო საპროტესტო დემონსტრაციები საარჩევნო სისტემის „რეფორმის“ პროექტის წინააღმდეგ, რომელიც მთავრობამ წამოაყენა. პარლამენტის დეპუტატებს, რომლებიც ამ პროექტის რეაქციულ ხასიათს ამხილებენ, მრავალი დეპუტა და სოლიდარობის რეზოლუცია მოსდით მოსახლეობის სხვადასხვა ფენისაგან. იტალიაში გაიმართა მრავალი გაფიცვა და მიტინგი, რომელთა მონაწილეებიც მოითხოვენ უარყოფილ იქნას მთავრობის პროექტი საარჩევნო კანონის შეცვლის შესახებ. ხანმოკლე საპროტესტო გაფიცვები გაიმართა ქალაქების ემპოლის (ფლორენციის პროვინცია), ბოლონიის, ბერნალდის (მატერის პროვინცია), მანტუის, მილანის ბევრ საწარმოში. მილანის პროვინციაში ტიკინოს, ბანიოლის, ჯეროლის, ვოჯანტინის თემების მოჯამაგირეებმა ნახევარი დღის გაფიცვა მოაწყეს. მილანის შრომის პალატამ გადაწყვიტა დეპუტატთა პალატაში გაგზავნოს დელეგაცია, რათა პროტესტი განაცხადოს მილანის 500 ათასი მშრომელის სახელით. პიომბინოს მთელი რიგი ფაბრიკებიც მუშებმა საპროტესტო დეპეშა გაუგზავნეს დეპუტატთა პალატის ბიუროს და რესპუბლიკის პრეზიდენტ ეინაუდის.

ასობით საპროტესტო მიტინგი მოეწყო აველინოს, მატერის, კატანძაროს, სალერნოს, ფოჯის, პალერმოს პროვინციებსა და რომის პროვინციაში.

საგაფიცვო მოძრაობა იტალიაში

რომი, 10 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „პაეზე“ იუწყება, „სულჩისის“ (სარდინია) ქვანახშირის აუზის ათი ათასზე მეტმა მაღაროელმა 9 დეკემბერს 24 საათის საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ მათ ნოემბრის ხელფასი არ მისცეს. ბევრმა ვაჭარმა დახურა თავისი მაღაზია გაფიცულებისადმი სოლიდარობის ნიშნად.

შვეიცარიის პროტესტი ამერიკის შეერთებული შტატებისადმი

სტოკჰოლმი, 11 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთები აქვეყნებენ ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობას, რომ შვეიცამ ევროპის სხვა ქვეყნებთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გაუგზავნა პროტესტი ამერიკის ნავსადგურებში ჩასული უცხოეთის გემების ეკიპაჟების შესახებ კანონის შემოღების წინააღმდეგ. ამერიკის ამ კანონის თანახმად, რომელიც ძალაში შევა 24 დეკემბერს, უცხოეთის გემების ეკიპაჟების შემადგენლობაში მყოფ პირებს უნდა ჰქონდეთ ნაპირზე გადასვლის ნებართვა, აგრეთვე ვალდებული არიან შემოწმება გაიარონ ამერიკის უშიშროების ორგანოებში.

მაროკოს ამბები

პარიზი, 11 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, დღეს რამდენიმე ასეული დემონსტრანტი — რაბათის სამხრეთი განაპირა უბნის მაროკოელთა ორი დაბის მცხოვრები — გაემართა ქალაქის ცენტრისაკენ, სადაც რაბათის ფაშის რეზიდენციაა. დემონსტრაცია გარეკა პოლიციამ, დაპატიმრებულია 100-მდე კაცი.

ფრანს პრესის სააგენტო აგრეთვე იუწყება, რომ დღეს კასაბლანკაში ავრცელებდნენ მოწოდებას მოსახლეობისადმი — მოიწყოს სამი დღის გაფიცვა. კასაბლანკის სამხრეთ გარეუბანში თავი მოიყარა რამდენიმე ათასმა მაროკოელმა. პოლიციამ და ჯარებმა ქალაქის არაბულ უბნებთან დააყენეს საფარი რაზმები.

შვეიცარიაში აირჩიეს ახალი პრეზიდენტი

პარიზი, 11 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ბერნელი კორესპონდენტი იუწყება, შვეიცარიის კონფედერაციის საკავშირო კრებამ შინაგან საქმეთა დეპარტამენტის უფროსი ფილიპ ეტერი აირჩია შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტად 1953 წლისათვის.

სურათზე: საბჭოთა კავშირის 1952 წლის ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში (მარცხნიდან მარჯვნივ) ვ. ბალავაძე (ქვეხაშუალო წონა), დ. ციმაკურიძე (საშუალო წონა), ვ. გიგიაძე (მჩატე წონა).

საქართველოს მოჭიდავეთა გამარჯვება

ბაკო. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). 11 დეკემბერი თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის 1952 წლის პირად-გუნდური პირველობის გათამაშების უკანასკნელი დღე იყო. დიდი ინტერესი გამოიწვია ფინალურმა შეხვედრებმა წონითი კატეგორიების მიხედვით, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის 24-მა უძლიერესმა სპორტსმენმა. ეს შეხვედრები ხასიათდებოდა მძაფრი ბრძოლით, შეუპოვრობით, მაღალი ოსტატობით.

თვითეულ წონითი კატეგორიაში სამი უძლიერესი სპორტსმენის გამოსავლენელად გამართულ ბრძოლაში წარმატებით გამოდიოდნენ საქართველოს გუნდის წევრები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფინალში გავიდა. მათ შორის იყვნენ: XV ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებული დ. ციმაკურიძე, ვ. ბალავაძე, ვ. გიგიაძე, შ. ნოზაძე, ვ. ილურიძე და სხვ.

ფინალში დაუმარცხებლად გასულმა მჩატე წონის ახალგაზრდა მოჭიდავე ვ. გიგიაძემ დასკვნის ასპარეზობაშიც საუკეთესო ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოამჟღავნა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ჩემპიონობისათვის ბრძოლის რთული გზა განვლო მრავალ შეჯიბრებაში სახელმოხვეჭილმა საშუალო წონის მოჭიდავე სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დ. ციმაკურიძემ. პირველ შეხვედრაშივე ციმაკურიძემ ქულებით წააგო შეჯიბრება პირველთანრიგოსან ახალგაზრდა მოჭიდავესთან, მოსკოველ ისაევთან და 3 საჯარიმო ქულა მიიღო.

პირველობის გათამაშების დებულებით 5 საჯარიმო ქულის მიღების შემდეგ სპორტსმენი კარგავდა სპარიზო ადგილებისათვის, ესე იგი ფინალში ბრძოლის უფლებას; ამიტომ დ. ციმაკურიძეს მორიგ შეხვედრებში დიდი სიფრთხილე მართებდა. მეორე და მესამე წრის, განსაკუთრებით კი ფინალურმა შეხვედრებმა ცხადყო ციმაკურიძის მტკიცე ნებისყოფა, გამძლეობა და ოსტატობა; მან მოიგო გადამწყვეტი შეხვედრები და პირველი ადგილი დაიკავა.

დიდი გამარჯვება მოიპოვა აგრეთვე ქვესაშუალო წონის მოჭიდავემ სპორტის ოსტატმა ვ. ბალავაძემ, რომელიც დაუმარცხებლად გავიდა ფინალში. დასკვნითი შეხვედრები კვლავ ბალავაძის გამარჯვებით აღინიშნა, მან დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი.

ფინალში მონაწილე მოჭიდავეთა შორის წარმატებას მიაღწიეს საქართველოს გუნდის წევრებმა, ქვემსუბუქი და მსუბუქი წონის მოჭიდავეებმა ნ. ოუზაშვილმა და ვ. ილურიძემ, რომელებმაც საკავშირო ჩემპიონატში მეორე ადგილები დაიკავეს.

მესამე სპარზო ადგილები მოიპოვეს: მჩატე წონაში — შ. ნოზაძემ, ქვემსუბუქ წონაში — ზ. დენტოშვილმა, ქვემძიმე წონაში ო. კანდელაკმა.

მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა გუნდური პირველობის გათამაშება. ფინალურ ასპარეზობამდე წინ იყვნენ მოსკოვის, რსფს რესპუბლიკისა და უკრაინის გუნდები. შეჯიბრების მესამე წრეში, განსაკუთრებით კი დასკვნითს ასპარეზობაში საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივმა მნიშვნელოვნად გაუსწორო ლიდერებს და თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის 1952 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ხუთი დღის სანტერესო ასპარეზობის შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება თავისუფალ ჭიდაობაში წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს: ბაბაევმა (აზერბაიჯანი), გიგიაძემ (საქართველო), დადაშევმა (აზერბაიჯანი), იალტრიანმა (უკრაინა), ბალავაძემ (საქართველო), ციმაკურიძემ (საქართველო), ენგლასმა (ესტონეთი), მეკოკიშვილმა (მოსკოვი).

შეჯიბრებაში გამარჯვებულ საქართველოს თავისუფალ მოჭიდავეთა გუნდს საზეიმოდ გადაეცა გარდამავალი ჯილდო და საბჭოთა კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომი.

დღეს, 13 დეკემბერს, საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებული ჩვენი რესპუბლიკის თავისუფალ მოჭიდავეთა გუნდი თბილისს დაბრუნდება.

სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონაჟი

მეცხრე ტური

11 დეკემბერს გაიმართა სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატის მე-9 ტური.

მოსკოველი ოსტატი მოისეევი და გროსმაისტერი ბოლესლავსკი შესვენების შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ.

მსოფლიოს ჩემპიონი ბოტვინიკი შავებით თამაშობდა კიეველი ოსტატის ლიპნიცკის წინააღმდეგ. პარტია გადაიდო. სსრ კავშირის ჩემპიონმა კერესმა, რომელიც გოლდენოვთან თამაშობდა, დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოიგო ხარისხი. 41-ე სვლაზე გოლდენოვი დანებდა. კასპარიან—ბელერის პარტიაში დიდხანს წარმოებდა საინტერესო მანევრული ბრძოლა. პარტია გადაიდო.

ლენინგრადის ჩემპიონმა გროსმაისტერმა ტიმანცევმა, რომელიც სიმაგინთან თამაშობდა, მოიგერია იერიში და თანდათან მიაღწია უპირატესობას. გადადებულ პოზიციაში ტიმანცევის მოგება ეკვს არ იწვევს. გროსმაისტერმა სმისლოვმა, რომელიც სუეტინის წინააღმდეგ თამაშობდა, ძლიერი იერიში მიიტანა ცენტრში და შემდეგ მოიგო ორი პაიკი. პარტია გადადებულია. არონინმა კარგად გაითამაშა პარტიის ბოლო ნაწილი კონსტანტინოპოლსკის წინააღმდეგ და 34-ე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია.

ბავშვების წინააღმდეგ ენერგიული პოზიციური ბრძოლის შემდეგ კორჩნოიმ მოიგო პაიკი. პარტია გადადებულია. კან—ილივიცკის შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა. ბრონშტეინ—ტოლუშის პარტია არ გათამაშებულა.

საკავშირო გუნდური პირველობა კრივში

მოსკოვი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). 11 დეკემბერს გრძელდებოდა შეჯიბრება კრივში საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობისათვის. მორიგი გამარჯვება მოიპოვეს მოსკოველთა და ლენინგრადის გუნდებმა, რომლებიც ფინალში გავიდნენ.

11 დეკემბერს საქართველოს მოკრივეთა გუნდი შეხვდა ბელორუსთის სპორტსმენთა კოლექტივს. 10 შეხვედრიდან ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეებმა მოიგეს 6, ხოლო ოთხი წააგეს. გამარჯვება მოიპოვეს ძმებმა ნოდარ და გივი დარბაისელებმა, კ. ზუბაიშვილმა, ფ. ლომაძემ და სხვ.

ამრიგად, საქართველოს მოკრივეთა გუნდმა მოუგო ესტონეთის, ბელორუსიისა და ლატვიის გუნდებს, წააგო შეხვედრა მოსკოვის სპორტსმენთა კოლექტივთან და მეხუთე ადგილი დაიკავა.

ჰაინრიხ ჰაინესადმი მიძღვნილი საღამო

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების ლიტერატურისა და ხელოვნების სექციამ დღეს მართავს დიდი გერმანელი პოეტის ჰაინრიხ ჰაინეს დაბადების 155 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს.

მოხსენებას „ჰაინრიხ ჰაინეს ცხოვრება და შემოქმედება“ წაიკითხავს გ. ხავთასი. მოეწყობა ჰაინრიხ ჰაინეს ნაწარმოებთა მხატვრული კითხვა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

საქართველოს რადიოგადაცემათა 14 დეკემბრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.45 — ქართული ხალხური სიმღერები; 10.30 — საუბარი—„საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ამაღლება. მშრომელთა გაღატაკების ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში“; 11.00 — „პიონერთა დაფიონის“ საკვირაო გამოშვება; 11.30 — საოპერო მუსიკის კონცერტი; 12.15 — საბჭოთა კომპოზიტორების ლირიული სიმღერები; 12.45 — ვალსები თ. გოგოლაშვილის შესრულებით; 16.00 — ლიტერატურული გადაცემა: ლ. ქიაჩელის „მთის კაცის“ ინსცენირება; 17.00 — რადიოჟურნალი „მიკროფონით ჩვენს რესპუბლიკაში“; 17.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის „ნორჩ რადიომსმენელთა თეატრი“; 18.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „მსოფლიოს პროგრესული ახალგაზრდობა მშვიდობისათვის ბრძოლაში“; **რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით:** 20.30 — საუბარი საერთაშორისო თემებზე; 20.50 — კონცერტი შალაპინის, სობინოვისა და ოტუხოვის შესრულებით; 23.00—პოპულარული მუსიკის კონცერტი; 00.05—საესტრადო მუსიკის კონცერტი.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო

„სოიუზპეჩატი“

გრძელდება ხელმოწერა

ცენტრალურ, რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ ჟურნალ-გაზეთებზე 1953 წლისათვის.

ხელისმოწერა მიიღება კავშირგაბმულობის კანტორებში, განყოფილებებში და საგენტოებში, ფოსტალიონების, კოლმეურნეობების წერილების დამტარებლების საშუალებით და გამოცემათა საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან ფაბრიკებში, ქარხნებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში.

ხელმოწერა მიიღება ცენტრალურ გამოცემებზე 15 დეკემბრამდე, რესპუბლიკურზე—23 დეკემბრამდე, საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებზე—28 დეკემბრამდე.

„სოიუზპეჩატი“.

ოპერისა და ბალე